ხელშეკრულება №268
საქონლის შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **29 დეკემბერი 2023 წელი**

ერთის მხრივ,მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 235895046 მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა რითეილი“ (ს/ნ: 405408811), წარმოდგენილი გაყიდვების დირექტორის მიხეილ ვაშაკიძის სახით,(შემდგომში ,,მიმწოდებელი”) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბა

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანი ფორდ ტრანზიტი ს/ნ BT710BB-ისთვის 4 ერთეული ზამთრის საბურავების შესყიდვა 195/75/16 C ბორტზე. (CPV09211600) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (შემდეგომში ,,საქონელი“).

1.2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, 2023 წლის სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 280 (ორიათას ორას ოთხმოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესაბამისი საბურავების მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპი“ლაგოდეხის სერვის ცენტრის“ექსპლუატაცის ინჟინერი ჭაბუკა შარმიაშვილი

4.2 ჰიდრავლიკის ზეთი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია – შპს „თეგეტა რითეილის“ სერვისცენტრები.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

5.3. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 30 იანვრამდე.

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „თეგეტა რითეილი“
ს/ნ: 235895046	ს/ნ:405408811
დ. მესტის სეტის მოედანი #1	ქ.თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი N129
სახელმწიფო ხაზინა,	ს.ს „თიბისი ბანკი“; ბ/კ TBCBGE22
30004100000	ა/ა: GE48TB7241936020100007
	გაყიდვების დირექტორი:
კაპიტონ ჟორჟოლიანი	მიხეილ ვაშაკიძე
MESTIA MUNICIPALITY Digitally signed by MESTIA MUNICIPALITY Date: 2023.12.29 14:30:12 +04'00'	_____